სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 06

2019 წ. "29" 01

ქ.თბილისი

შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის სააპელაციო საჩივრის, საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №195 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^7-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის (ს/კ:212703546) ავტორიზაციის საკითხი.
2. სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 29 იანვრის №4 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი
მდივანი
დევი ხვედელიანი